დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2015 წლის 16 ივნისს N7 სხდომაზე,
ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 ნოემბრის N12 სხდომის გადაწყვეტილებით
და აკადემიური საბჭოს 2016 წლის 27 სექტემბრის
N23-ე სხდომაზე, 2016 წლის 1 დეკემბრის N25-ე სხდომაზე, 2017 წლის 4 ივლისის N6 სხდომაზე, 2022
წლის 6 ივლისის N9 სხდომაზე; 2024 წლის 30 აპრილის N4 სხდომაზე. 2025 წლის 8 დეკემბრის N11
სხდომაზე.
ამ წესით ძალადაკარგულად გამოცხადდა ***2011*** წლის ***24*** თებერვლის აკადემიური საბჭოს ***№48***-ე სხდომის
გადაწყვეტილებით
დამტკიცებული ,,ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების
წესი“

ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი

1. ეს წესი არეგულირებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური/პროფესიული პროგრამების კურსების/კომპონენტების ფარგლებში სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების დატვირთვის, შეფასების, კრედიტების დაგროვების, კრედიტების მინიჭების, კურსის/კომპონენტის განმეორებით, დამატებით გავლის და სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების აკადემიური რეიტინგის განსაზღვრის პროცედურებს. ამ წესის 24-ე პუნქტი, რომელიც არეგულირებს კურსდამთავრებულთათვის წარჩინების მინიჭებას, არ ვრცელდება 2006-2007 სასწავლო წლამდე მოქმედი პროგრამების კურსდამთავრებულებზე. მათთვის მოქმედებს რექტორის 2007 წლის 25 მაისის #03-142 ბრძანება.

2. უნივერსიტეტში არსებულ აკადემიურ/პროფესიულ პროგრამებში გათვალისწინებული კურსების/კომპონენტების ფარგლებში სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების დატვირთვა განისაზღვრება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის მიხედვით. დატვირთვის განსაზღვრისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესითა“ და 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესით“.

3. თითოეულ კურსში/კომპონენტში კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება კურსის/კომპონენტის მიზნებისა და შედეგების მიღწევისთვის საჭირო დროის (დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების) მიხედვით. ერთი კრედიტი მოიცავს 25 საათს. (ცვლილ.27.09.2016)

3[1] საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის კრედიტების განაწილება ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგებისა და მიზნების მისაღწევად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%. (ცვლილ.27.09.2016)

3[2] კრედიტების გაანგარიშებისას არ უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო. (ცვლილ.27.09.2016)

3[3] ერთი და იგივე შინაარსის, მოცულობისა და სწავლის შედეგის მქონე კურსი/კომპონენტი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს. (ცვლილ.27.09.2016)

4. აკადემიურ/პროფესიულ პროგრამაში ჩართული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ერთი სემესტრის განმავლობაში შეიძლება დარეგისტრირდეს კურსებზე/კომპონენტებზე, რომელთა მოცულობა კრედიტებში არ აღემატება 30 კრედიტს. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, გარდა ამ წესის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5. აკადემიური/პროფესიული პროგრამის ან/და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე, დასაშვებია სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის წლიური დატვირთვა არ შეიძლება აღემატებოდეს 75 კრედიტს.

5[1]. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს. (დამატება 6.07.2022წ.)

6. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს. აკადემიური წელი შედგება ორი სემესტრისაგან. თითოეულ სემესტრში სტანდარტული სასწავლო პერიოდი შეადგენს არანაკლებ 15 კალენდარულ კვირას და მოიცავს კურსით/კომპონენტებით გათვალისწინებულ შუალედურ გამოცდებს/შეფასებებს. სემესტრის დარჩენილი კვირები ეთმობა საგამოცდო პერიოდს, რომელიც განკუთვნილია კურსის/კომპონენტის დასკვნითი/ფინალური გამოცდის/შეფასებისა და დამატებითი გამოცდის/შეფასებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებებიდან გამომდინარე, სასწავლო პერიოდი შეიძლება აღემატებოდეს 15 კვირას ან იყოს 15 კვირაზე ნაკლები.(ცვლილება 6.07.2022წ.)

6[1]. აკადემიური კალენდარი შესაძლებელია შედგებოდეს ასევე ზაფხულის და/ან ზამთრის სემესტრებისგან, რომელთა ხანგრძლივობაც განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით. (დამატება 6.07.2022წ.)

7. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის შეფასება ხორციელდება ასქულიანი სისტემით. 100 ქულა წარმოადგენს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მაქსიმალურ შეფასებას კონკრეტული სასწავლო კურსის/კომპონენტის გავლის შემთხვევაში.

7[1]. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოყენებული უნდა იყოს შეფასების რელევანტური მეთოდები (მაგ: ზეპირი/წერითი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, გამოფენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE) და სხვ.) და კრიტერიუმები. (ცვლილება 6.07.2022წ.)

7[2]. (ამოღებულია 6.07.2022წ.)

8. სასწავლო კურსის/კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით/ფინალურ შეფასებებს და უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 მეთოდისგან. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი/ფინალური შეფასება) გამოყენებით. შეფასების კომპონენტებში დასკვნითი/ფინალური შეფასების წილი არ უნდა აღემატებოდეს 30 ქულას. გამონაკლისს წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასება, სადაც დასკვნითი/ფინალური შეფასების წილი განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისა და აღნიშნული კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით. (ცვლილება 6.07.2022წ. 8.12.2025 წ.)

8[1] შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) უნდა განესაზღვროს რაოდენობრივი მაჩვენებელი (შესძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში. (ცვლილება 6.07.2022წ.)

8[2] შეფასების თითოეულ კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი/ფინალური შეფასება) განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. ეს დათქმა არ ვრცელდება პროფესიული პროგრამების კომპონენტებზე. მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი შესაძლებელია აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. (ცვლილება 6.07.2022წ. 8.12.2025 წ.)

9. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. (ცვლილება 6.07.2022წ.)

9[1] სასწავლო კურსის/კომპონენტის(გარდა კონცენტრაციისა და მოდულებისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.(ცვლილება 6.07.2022წ.)

9[2] დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას. შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური კრიტერიუმები. (ცვლილ.27.09.2016, 8.12.2025 წ.)

9[3] სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში მიღებული შუალედური ან/და დასკვნითი შეფასებები შედეგის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, რასაც დეკანის ბრძანების საფუძველზე განიხილავს დარგის სპეციალისტი ან საპრეტენზიო კომისია. საპრეტენზიო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი პირისაგან.(დამატება 4.07.2017)

9[4] საპრეტენზიო განაცხადის განხილვისას მე-9[3] პუნქტით განსაზღვრული დარგის სპეციალისტი ან საპრეტენზიო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს საპრეტენზიო განაცხადში მითითებული შუალედური ან/და დასკვნითი შედასების სისწორეზე და 3 დღის ვადაში მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) სტუდენტისთვის ქულის მომატების შესახებ;
ბ) სტუდენტისთვის ქულის დაკლების შესახებ;
გ) სტუდენტისთვის ქულის უცვლელად დატოვების შესახებ. (დამატება 4.07.2017)

9[5] შესაბამისი სკოლის/ფაკულტეტის გადაწყვეტილებით, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ შესაძლებელია დადგენილ იქნას ამ წესის მე-9[4] პუნქტისგან განსხვავებული ვადა. ვადის დადგენისას უნდა მოხდეს შესაბამისი პროექტის/ნაშრომის შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის მოცულობის, მიმდინარე წლის აკადემიური კალენდრისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების თავისებურებების გათვალისწინება. (დამატება 4.07.2017)

9[6] ამ წესის მე-9[4] პუნქტით განსაზღვრული შედეგის გაცნობა გულისხმობს შესაბამისი პირის მიერ შუალედურ ან/და დასკვნით გამოცდებზე მიღებული შეფასებების სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსში“ ასახვას.(დამატება 4.07.2017)

10. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიერ კურსით/კომპონენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება და შეფასების სისტემით განსაზღვრული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღება. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი –91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი –81-90 ქულა;

(C) კარგი –71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა;

(E) საკმარისი –51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა –41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა –40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. (დამატება4.07.2017).

10^1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, სპეციფიკის, აგრეთვე მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გათვალისწინებით, შესაძლებელია განისაზღვროს მე-10 პუნქტში მითითებულისგან განსხვავებული მინიმალური დადებითი შეფასება, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი. (ცვლილება 6.07.2022წ.)

10^2 უმაღლესი განათლების შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემოქმედებითი/საშემსრულებლო პრაქტიკული სახის პროექტის/ნამუშევრის შეფასების შემდეგ სისტემას:

ა) წარმატებით ჩააბარა – 91-100 ქულა;

ბ) ჩააბარა – 51-90 ქულა;

გ) ვერ ჩააბარა – 50 ქულა და ნაკლები (დამატება: 30.04.2024)

10^3 10^2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეფასება გადაყვანილი იქნება მე-10 პუნქტით დადგენილ შეფასების სისტემაზე შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით.

(A) ფრიადი – 91-100 ქულა	წარმატებით ჩააბარა – 91-100 ქულა
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა	ჩააბარა – 51-90 ქულა
(C) კარგი – 71-80 ქულა	
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა	
(E) საკმარისი – 51-60 ქულა	
(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა	ვერ ჩააბარა – 50 ქულა და ნაკლები
(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები	

(დამატება: 30.04.2024)

11. ამოღებულია. (ცვლილ.27.09.2016)

12. სტუდენტის მიერ FX შეფასების ან 10[1] პუნქტით განსაზღვრულზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში. (ცვლილება 6.07.2022წ.)

13. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.(ცვლილება 6.07.2022წ)

14. (ამოღებულია 6.07.2022წ.)

15. სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს არ აქვს უფლება, განმეორებით დარეგისტრირდეს კურსზე/კომპონენტზე, რომელშიც მას მიღებული აქვს მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასება და მინიჭებული აქვს კრედიტები.

16. პლაგიატი შეიძლება გახდეს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიერ კურსის/კომპონენტის ფარგლებში დაგროვებული ქულებისა და კრედიტების გაუქმების საფუძველი.

17. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი/კომპონენტები ფასდება ამ წესის მე-10 პუნქტში მითითებული სისტემით. კომპონენტის/კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს. (ცვლილ.27.09.2016)

18. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი ფასდება შემდეგი სისტემის მიხედვით:
(ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
(ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
(გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
(დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს. (ცვლილ.27.09.2016)
(ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
(ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) –არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს; (ცვლილ.27.09.2016, 8.12.2025 წ.)

(ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

19. მე-18 პუნქტის „ა“ – „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

20. მე-18 პუნქტის „ვ“ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების შესაბამისად. მე-18 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. (ცვლილება 6.07.2022წ.)

21. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მე-10 პუნქტში მითითებული სისტემის მიხედვით.

22. FX შეფასების მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო F შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის წარდგენის უფლებას. (ცვლილ.27.09.2016)

23. წარჩინების დიპლომი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის საბოლოო შეფასებები კურსების 80%-ში არის არანაკლებ 91 ქულისა და დანარჩენ კურსებში არანაკლებ 81ქულისა.

24. აკადემიურ/პროფესიულ პროგრამაში ჩართული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის რეიტინგი ასახავს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის აკადემიურ მოსწრებას. რეიტინგი შეიძლება იყოს მიმდინარე (სემესტრული) და საბოლოო (ჯამური).

25. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიმდინარე (სემესტრული) რეიტინგის გაანგარიშება ხდება ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ. რეიტინგის გაანგარიშება ხდება სტუდენტის მიერ სემესტრში მხოლოდ 30 ან 30-ზე მეტი კრედიტის დაგროვების შემთხვევაში. რეიტინგი ანგარიშდება ყველა დარეგისტრირებული კურსის/კომპონენტის რაოდენობისა და ყველა მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლის მიხედვით.

26. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების მიმდინარე (სემესტრული) რეიტინგის გაანგარიშება ხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პროგრამაზე დარეგისტრირებულ კურსებთან/კომპონენტებთან მიმართებაში, 26-ე პუნქტში მითითებული წესის მიხედვით. მიმდინარე (სემესტრული) რეიტინგის გაანგარიშების დროს გათვალისწინებული არ არის სტუდენტის მიერ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აღიარებული კურსების შეფასებები. იგივე წესი მოქმედებს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აღიარებული კურსების შეფასებების შემთხვევაშიც.

27. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ჯამური რეინტინგის გაანგარიშება ხდება სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების საფუძველზე. ჯამური რეიტინგი განისაზღვრება ყველა კურსის/კომპონენტის რაოდენობისა და ყველა მიღებული შეფასების მიხედვით. ჯამური რეიტინგის განსაზღვრისას უნდა იყოს გათვალისწინებული სხვა, მათ შორის უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაგროვებული და შესაბამისი წესით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური/პროფესიული პროგრამების მიზნებისთვის აღიარებული კურსები/კომპონენტები და მათი შეფასებები. ჯამური რეიტინგის გაანგარიშება ხდება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის აკადემიური მოსწრების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით, ყველა დარეგისტრირებული კურსის/კომპონენტის რაოდენობისა და ყველა მიღებული შეფასების მიხედვით.

28. 2015-2016 სასწავლო წელს დამატებითი კრედიტისთვის სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი იხდის მხოლოდ კრედიტის საფასურს, რომელიც იქნება მათი პროგრამის წლიური სწავლის საფასურის პროპორციული. (ცვლილება 20.11.2015)

28[1]. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სახელზე გასაცემი დიპლომის დანართში აისახება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის საშუალო ქულა. ამ შემთხვევაში საშუალო ქულის გაანგარიშება ხდება შესაბამისი აკადემიური/პროფესიული პროგრამის ფარგლებში გავლილი იმ კურსების/კომპონენტების შეფასებების საფუძველზე, რომლებშიც სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს მიღებული აქვს კრედიტი. (დამატება 1.12.2016)

29. სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი, რომელიც ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ შეფასებას ან რაიმე მიზეზით გასავლელი აქვს საგანი დამატებით სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ კურსში(ებში)/კომპონენტში(ებში), უფლება აქვს შესაბამისი აკადემიური საფეხურის/პროგრამის ოფიციალური ვადის დასრულებამდე (ბაკალავრიატი-ოთხი წელი, მაგისტრატურა-ორი წელი, პროფესიული უმაღლესი და პროფესიული პროგრამებიპროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობის მიხედვით)აირჩიოს დამატებითი კრედიტი/კრედიტები. დამატებითი კრედიტის აღების შემთხვევაში, ის გადაიხდის კრედიტის საფასურს, რომელიც იქნება მისი პროგრამის წლიური სწავლის საფასურის პროპორციული. შიდა და გარე მობილობის ფარგლებში ჩარიცხულ ან გადაყვანილ სტუდენტზე/პროფესიულ სტუდენტზე ეს ნორმა ვრცელდება არა აკადემიური საფეხურის/პროგრამის ოფიციალური ვადის დასრულებამდე არამედ უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე. (ცვლილება 20.11.2015)

30. სტუდენტი, რომელიც ვერ დაასრულებს სასწავლო პროგრამას -ბაკალავრიატი-ოთხი წელი, მაგისტრატურა-ორი წელი, სწავლის საფასურს გადაიხდის ახალი ხელშეკრულების მიხედვით, პირველ და მეორე დამატებით სემესტრზე გადაიხდის კრედიტის საფასურს იმ სასწავლო წელს ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურის პროპორციულად, ხოლო ყოველ მომდევნო დამატებულ სემესტრზე გადახდა მოხდება სემესტრულად ან წლიურად იმ სასწავლო წელს ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურის პროპორციულად იმისდა მიხედვით იმატებს ერთ სემესტრს თუ ერთ სასწავლო წელს. (მაგ: საბაკალავრო საფეხურზე: დამატებულ მე-5 სასწავლო წელზე სტუდენტი იხდის გასავლელი კრედიტების მიხედვით სწავლის საფასურს, ხოლო დამატებულ მე-6 და შემდეგ სასწავლო წელს სემესტრულ ან წლიურ საფასურს დარჩენილი კრედიტების მიუხედავად; სამაგისტრო საფეხურზე - დამატებულ მე-3 სასწავლო წელს სტუდენტი იხდის გასავლელი კრედიტების მიხედვით სწავლის საფასურს, ხოლო დამატებულ მე-4 და ყოველ მომდევნო სასწავლო წელს სემესტრულ ან წლიურ საფასურს დარჩენილი კრედიტების მიუხედავად და ა.შ.). (ცვლილება 20.11.2015)

31. ამ წესის 30-ე და 31-ე პუნქტები ამოქმედდეს 2016-2017 სასწავლო წლის დასაწყისიდან. (ცვლილება 20.11.2015)

32. (ამოღებულია 20.11.2015)